დანართი N2

დამტკიცებულია
სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“
დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის N01-04/122 ბრძანებით
ცვლილება: 2020 წლის 21 დეკემბრის N01-04/216
2023 წლის 14 ივნისის N01-04/127 ბრძანება

პერონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმები

სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“

2023წელი

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 3

თავი II. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა 3

მუხლი 3. პერსონალური მონაცემების დამუშავება 3

მუხლი 4. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა 5

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება 5

თავი III. გარდამავალი დებულებები 6

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები 6

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ კოლეჯის „ახალი ტალღა“ (შემდგომში - კოლეჯის) პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმებს, რომლის მიზანია პერსონალური მონაცემის სამართლიანად, კანონიერად დამუშავება ადმიანის ღირსების შეულახავად და მონაცემების დამუშავებისას უზრუნველყოფილ იქნეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.
2. დოკუმენტი მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას, მონაცემებზე წვდომას და უსაფრთხოების მექანიზმებს.
3. წინამდებარე დოკუმენტის მიხედვით განსაზღვრული წესები ვრცელდება კოლეჯის ყველა ფილიალზე და დაცვა სავალდებულოა კოლეჯის ყველა თანამშრომლისთვის და პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. პერსონალური მონაცემი - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ, ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს.
2. მონაცემთა სუბიექტი - პროფესიული სტუდენტი/მსმენელი, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი და სხვა კოლეჯში დასაქმებული პირი, ვისი პერსონალური მონაცემებიც მუშავდება.
3. მონაცემთა დამმუშავებელი - სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“.
4. მონაცემთა დამუშავება - მონაცემთა მიმართ შესრულებული ნებისმიერი მოქმედება, კერძოდ, შეგროვება, ჩაწერა, ფოტოზე აღბეჭდვა, აუდიო ჩაწერა, ვიდეო ჩაწერა, ორგანიზება, შენახვა, შეცვლა, აღდგენა, გამოთხოვა, გამოყენება, ან გამჟღავნება მონაცემთა გადაცემის, გავრცელების, ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფება, ანკომბინაცია, დაბლოკვა, წაშლა, ან განადგურება.

თავი II. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

მუხლი 3. პერსონალური მონაცემების დამუშავება

1. კოლეჯის მიერ პერსონალური ინფორმაციის დამუშავება მოიცავს:

   ა) პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაციის ვებგვერდზე გასაჯაროების;

   ბ) სამეთვალყურეო ვიდეო კამერების ჩანაწერებს;

   გ) ელექტრონულ სისტემებში (eFlow, Evet და ა.შ.) მონაცემების აღრიცხვას ან მოძიებას;

დ) სამინისტროსთვის, შესაბამისი უწყებებისთვის და პარტნიორი ორგანიზაციებისთვის ან პირებისთვის მონაცემების გამჟღავნებას;

ე) პირადი საქმის წარმოებას.

2. კოლეჯი უფლებამოსილია მონაცემთა სუბიექტების თანხმობით ვებგვერდზე განათავსოს მათი ბიოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ინფორმაცია გამოცდილების შესახებ და ა.შ.).

3. მონაცემთა სუბიექტების თანხმობა გამოხატული უნდა იყოს ნებაყოფლობით, წინასწარ, მონაცემთა დამუშავებამდე, ისეთი საშუალებით, რომლითაც ნათლად დგინდება მონაცემთა სუბიექტის ნება.

4. სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიზნებისათვის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციაზე თანხმობა შესაძლოა იყოს შრომითი ხელშეკრულების ნაწილი ან აღნიშნულთან დაკავშირებით ცალკე დოკუმენტი გაფორმდეს.

5. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტის/მსმენელის პერსონალური მონაცემები გაუმჟღავნოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ექიმს მისი ჯანმრთელობის დასაცავად.

6. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ ცნობის გაცემის მოთხოვნის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია მოიძიოს და დაამუშაოს ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომელიც აუცილებელია ცნობის მოსამზადებლად, მონაცემთა დამუშავებაზე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის დამატებითი თანხმობის გარეშე.

7. კოლეჯი უფლებამოსილია პროფესიული სტუდენტისგან/მსმენელისგან მოიპოვოს მისი საკონტაქტო ინფორმაცია (მაგ. ელ. ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ.) საგანმანათლებლო პროცესის შესახებ მისი ინფორმირების მიზნით.

8. კოლეჯი უფლებამოსილია თანამშრომლებს მოსთხოვოს საავადმყოფო ფურცლის (ბიულეტენი) წარდგენა, რათა შეაფასოს მის მიერ სამუშაოს გაცდენის, შრომითი ვალდებულებების შეუსრულებლობის მართლზომიერება (სამუშაოს გაცდენის საპატიოდ მიჩნევის საკითხი).

9. კოლეჯი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, თანამშრომლებს მოსთხოვოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

10. კოლეჯი უფლებამოსილია პარტნიორ ორგანიზაციებს/პრაქტიკის ობიექტებს/სასწავლო საწარმოებს მიაწოდოს ინფორმაცია იმ პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შესახებ, რომლებიც სწავლებას გადიან ამ პარტნიორი ორგანიზაციების/პრაქტიკის ობიექტების/სასწავლო საწარმოების ბაზაზე.

11. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების ნამდვილობა, სიზუსტე და საჭიროებისამებრ მათი განახლება.

12. საკუთრების, პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უსაფრთხოების დაცვის მიზნით, კოლეჯში ხორციელდება ვიდეო მეთვალყურეობა.
13. კოლეჯის იმ სივრცეებში, სადაც ხორციელდება ვიდეო მეთვალყურეობა, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია გამაფრთხილებელი ნიშანი ვიდეო მეთვალყურეობის მიმდინარეობის შესახებ.

მუხლი 4. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების მიზანზე და სამართლებრივ საფუძველზე, მონაცემთა შეგროვების გზებზე, ასევე, იმაზე, თუ ვის გადაეცა მისი მონაცემები, რა მიზნითა და რა საფუძვლით. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდების ფორმას ირჩევს თავად მონაცემთა სუბიექტი.
2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მოითხოვოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.
3. მონაცემთა სუბიექტს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მოთხოვნისთანავე, ან მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა, თუ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს ინფორმაციის მოძიებას.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს მიაწოდოს ინფორმაცია შეფასების შესახებ.
5. პროფესიული სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის შეფასების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება ინდივიდუალურად - ზეპირსიტყვიერად, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო შეტყობინებების ან/და სხვა საშუალებებით.
6. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს შეფასების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ჯგუფურად, თუ ჯგუფის ყველა წევრი თანახმაა ინფორმაციის გაზიარებაზე.
7. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შესახებ ინფორმაციის მიღება შეუძლია მშობელს, ან მის სხვა კანონიერ წარმომადგენელს. სრულწლოვან პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შემთხვევაში, მათ შესახებ ინფორმაცია მშობლებს მიეწოდებათ სტუდენტის/მსმენელის თანხმობით.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოება

1. კოლეჯში პერსონალური მონაცემების შენახვაზე და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირია ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი და სტუდენტების მსმენელების საქმისწარმოების სპეციალისტი.
2. ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მენეჯერი:
   2.1 უზრუნველყოფს კოლეჯის თანამშრომლების შესახებ მონაცემების შეგროვება/შენახვის პროცესის ადმინისტრირებას;

2.2 უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომლების პირადი საქმეების შენახვას და მათი პერსონალური ინფორმაციის დაცვას;

2.3 კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას და კოლეჯის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულებას;

2.4 უზრუნველყოფს „საქმისწარმოების წესის“, „ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების პოლიტიკის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნებისდაცვას.

4. პროფესიულისტუდენტების/მსმენელების საქმისმწარმოებელი:

4.1 უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების შესახებ მონაცემების შეგროვება/შენახვის პროცესის ადმინისტრირებას;

4.2 უზრუნველყოფს კოლეჯის პროფესიული სტუდენტების/მსმენელების პირადი საქმეების შენახვას და მათი პერსონალური ინფორმაციის დაცვას;

4.3 კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას და კოლეჯის მიერ პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნების შესრულებას;

4.4 უზრუნველყოფს „საქმისწარმოების წესის“, „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ კანონის მოთხოვნების დაცვას.

5. კოლეჯის პერსონალის და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების მონაცემები დაცულია უკანონო გამჟღავნებისგან, შეცვლისგან და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან:

5.1 მატერიალური დოკუმენტებისთვის უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოება, არაავტორიზებულ პირებს არ აქვთ აღნიშნულ დოკუმენტებზე წვდომა.

5.2 ელექტრონული მოწყობილობები, სადაც ინახება ელექტრონული მონაცემები დაცულია პაროლებით, შესაბამისი ანტივირუსული პროგრამებით და შეზღუდულია წვდომა.

5.3 კოლეჯს გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს უსაფრთხოების ნორმების დაცვას.

თავი III. გარდამავალი დებულებები

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღის“ პერონალური მონაცემთა დაცვის მექანიზმები მტკიცდება და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანა ფორმდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.
2. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის ინიცირება შეუძლია კოლეჯის თანამშრომლებს, რომლებიც არგუმენტირებული მოთხოვნით მიმართავს კოლეჯის დირექტორს.
3. წინამდებარე დოკუმენტში ცვლილებების შეტანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი.